ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის
მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	**გრიგოლ ვეფხვაძე**
საანგარიშო პერიოდი:	01.11.2019 – 01.11.2020
თანამდებობა:	1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის საკრებულოს წევრი; 2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე; 3. ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს წევრი
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე
დროებითი სამუშაო ჯგუფები:	1. ტრანსპორტის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი 2. ვეტერანების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: - 24 (13 რიგითი, 11 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: - 23 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომის რაოდენობა: - 24 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასწრება: - 23 სხდომა

- **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

  დადგენილება - 67;

  განკარგულება - 136.

- **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობა:**

  ა) კომისიები:

  - საფინანსო-საბიუჯეტო კომისია:

    ჩატარდა: - 11 სხდომა; დასწრება: - 11 სხდომა

  ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება“

    ჩატარდა: - 3 სხდომა; დასწრება: - 3 სხდომა

  გ) ტრანსპორტის საკითხების შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი

    ჩატარდა: - 2 სხდომა; დასწრება: - 2 სხდომა

  დ) ვეტერანების საკითხთა შემსწავლელი დროებითი სამუშაო ჯგუფი

    ჩატარდა: - 1 სხდომა; დასწრება: - 1 სხდომა

- **ჩართულობა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით მომუშავე სამუშაო ჯგუფებში, კომისიებსა და საბჭოებში:**

  1. ელექტრონული საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების მიზნით შექმნილი სატენდერო კომისიის წევრი - დავესწარი 103 კომისიის სხდომას.

  2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო ფონდის განკარგვის მიზნით შექმნილი სათათბირო საბჭოს წევრი

  3. ა(ა)იპ ქალაქ რუსთავის სახელოვნები, სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი

  4. ქალაქ რუსათავის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტების მოძიება/მიღებასთან დაკავშირებული და ახალგაზრდა ინიციატორთა პროექტის თანადაფინანსებით პროგრამის სათათბირო-საკონსულტაციო ჯგუფის წევრი

5. რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M2კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის დადგენილი ფასის შესწავლის მიზნით შექმნილი საბჭოს წევრი

6. რუსთავი-თბილისის მარშრუტზე M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებზე კონკურსის პირობების შემუშავების სამუშაო ჯგუფის წევრი

7. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული საჭიროებისას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისთვის სამუშაო ჯგუფის წევრი

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ა) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცება;

ბ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დამტკიცება;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2019-2020 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები;

დ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების დამტკიცება;

ე) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი 2019-2020 წლის ინფრასტრუქტურული პროექტები

ვ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის დამტკიცება და მიწის ნორმატიული ფასის დადგენა;

❖ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

საკრებულოს წევრის საქმიანობა წარიმართება საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს. მისი სამოქმედო გეგმა განსაზღვრულია კომისიის დებულებით და განიხილავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიიდან ინიცირებულ საკითხებს.

კომისია აქტიურადაა ჩართული კომისიის გამგებლობას მიკუთვნებულ სფეროში არსებული პრობლემატიკის განხილვაში და მათი ეფექტურად გადაჭრა, მის პრიორიტეტს წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში, სისტემატიურად ვმართავდი შეხვედრებს ამომრჩევლებთან მიმდინარე საკითხების და დაგეგმილი პროექტების განხორციელების მიმდინარეობის, ასევე შესრულებული სამუშაოების განხილვის მიზნით. შეხვედრები იმართებოდა მომავალი წლის პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნითაც.

COVID-**19** პანდემიის პერიოდში ყოველდღიურად მიგვქონდა საკვები უფასო სასადილოებიდან ბენეფიციარებთან, რომლებიც განეკუთვნებოდნენ რისკ ჯგუფებს, ასევე 2000-მდე ოჯახში მივიტანეთ სარეზერვო ფონდიდან დაფინანსებული საკვები, წამალი და ჰიგიენის საგნები.

თარიღი: 30.10.2020

ხელმოწერა: გრიგოლ ვეფხვაძე